**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

---

**ბრძანება № 01-02/89**

14 ივნისი 2021 წ. ქ. ბათუმი

**ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ მედეა ბერიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დებულების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (10.06.2021, ოქმი N27–20/12 და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (11.06.2021 №561248) საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ მედეა ბერიძის სადისერტაციო ნაშრომის: „ჭოროხის დელტის ფლორა და მცენარეულობა" საჯარო დაცვა დაინიშნოს 2021 წლის 28 ივნისს, 13:00 საათზე, №328 აუდიტორიაში (ბსუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, ბათუმი, ნინოშვილის №35/რუსთაველის N32).

2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი (ბიოლოგია) სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**ა) ნინო ლომთათიძე** - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი, (თავმჯდომარე);
**ბ) ნანი გვარიშვილი** - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი, (მდივანი);
**გ) ქეთევან დოლიძე** -ბსუ-ს პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;
**დ) რუსუდან ხუხუნაიშვილი** -ბსუ-ს პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;
**ე) ალეკო კალანდია** –ბსუ–ს პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

**ვ) ავთანდილ მესხიძე** – ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. ბიოლოგიის დოქტორი;

**ზ) მაკა მურადაშვილი** - ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მცენარეთა დაავადებების მონიტორინგის, დიაგნოსტიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერ თანამშრომელი. ბიოლოგიის დოქტორი;

**თ) იზოლდა მაჭუტაძე** - ბსუ–ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი;

**ი) ფერიდე ჩაიძე** – ბათუმის ბოტანიკური ბაღის ეგზოტურ მცენარეთა კოლექციის განყოფილების კოორდინატორი, ბიოლოგიის დოქტორი.

3. ბსუ-ს რექტორის ბრძანება და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (საჯარო დაცვის თარიღის, დროის, ადგილის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ).
4. ბრძანება სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ გაეგზავნოს დოქტორანტს და ფაკულტეტის დეკანის ოფისის მიერ განთავსდეს მის პირად საქმეში.
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი ქ. დოლიძე) და მდივანს (ასოც. პროფესორი ნანა ზარნაძე).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**რექტორი, ასოცირებული პროფესორი:** **მერაბ ხალვაში**